დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2021 წლის 9 ივლისის №01-04/122 ბრძანებით
ცვლილება: ბრძ. N01-4/160 (05.08.2022)
ცვლილება: ბრძ. N01-4/148 (07.08.2023)
ცვლილება: ბრძ. N1-4/51 (30.04.2024)
ცვლილება: ბრძ. N1-4/159 (28.10.2024)
ცვლილება: ბრძ. N1-4/87 (18.06.2026)

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესის შედგენის საფუძველია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანება.
2. საკითხები, რომლის რეგულირებაც განსაზღვრული არ არის წინამდებარე წესით რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ასევე ამ სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესი არეგულირებს კოლეჯში აპლიკანტთა შერჩევის წესსა და პირობებს საბაზო, საშუალო და იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში - **„ინტეგრირებული პროგრამა“**); ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში -**„დუალური პროგრამა“**).

მუხლი 2. წესის მიზანი

1. ამ წესის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯი მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია დაინტერესებულ პირს:
ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;
ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;
გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.
2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი

კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.
4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 5. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს დაწესებულების მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. ანკეტა-კითხვარის შევსებამდე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

5. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.
6. სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 7 აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.
2. აპლიკანტთა შერჩევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებ(ებ)ით.
4. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე. შერჩევა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტმა რეგისტრაციისას მიუთითა რომელიმე მათგანი.
5. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესითა და პირობებით უზრუნველყოფს აპლიკანტის შერჩევას განსხვავებულ თარიღ(ებ)ში.
6. შერჩევისას აპლიკანტების შეფასება განხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
7. შეფასება არის დიფერენცირებული და შეიძლება ჩატარდეს მოტივაციური გასაუბრების/ შემოქმედებით ტურის/ტესტირების ფორმით.
8. შემოქმედებითი ტურით განხორციელდება ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შეფასება.

მუხლი 8. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში. თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯის მიერ აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განთავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
2. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევის ჩატარების თარიღს (თითოეული პროგრამის მიხედვით) აპლიკანტს/აპლიკანტებს აცნობებს კოლეჯი შერჩევის თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშოა დღით ადრე, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, აპლიკანტს ასევე ეცნობება შერჩევის ფორმის ჩატარების შესახებ.
3. შერჩევის ფორმა და ეტაპები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევის ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასაუბრება/შემოქმედებითი ტური. შემოქმედებითი ტურის შემთხვევაში, დავალება ასევე

მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. შერჩევას ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია;

5. შერჩევა ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში.

6. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი.

7. საკონკურსო კომისია კომპლექტდება, როგორც კოლეჯის წარმოამდგენლ(ებ)ის (ადმინისტრაციის წარმომადგენელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლის/ წარმომადგენლებისაგან;

8. საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ აპლიკანტს და შეფასების შედეგები შეაქვს შესაბამის ფორმაში. მოტივაციური გასაუბრების ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. შეფასების მაქსიმალური ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება წინასწარ, შერჩევის ეტაპის დაწყებამდე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება ოქმით;

11. კოლეჯი მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

12. საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასება ხორციელდება აპლიკანტის/მისი კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი განცხადების საფუძველზე (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მტკიცებულება მაგ: ფორმა ასი და ა.შ.). კოლეჯის დირექტორის მიერ განცხადების განხილვის შემდგომ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების შესახებ. აღნიშნული ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს შეფასებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვებაში კი გადაწყვეტილების მიღებისთანავე პასუხი ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს.

13. აპელაციის წესი და ვადები:

ა) აპლიკანტს შერჩევის შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების გასაჩივრების მიზნით, წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

ბ) სააპელაციო კომისია იქმნება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით (კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი). სააპელაციო კომისია კომპლექტდება, როგორც კოლეჯის წარმოამდგენლ(ებ)ის (ადმინისტრაციის წარმომადგენელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლის/ წარმომადგენლებისაგან;

გ) სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული დღის ვადაში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. აპლიკანტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

14. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

15. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

16. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

16[1]. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებითნ რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.

17. (ამოღებულია)

18. (ამოღებულია)

19. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

20. მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში, უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე ჩარიხვის წესი და პირობები“-ს მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“;

21. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის მე-20 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

მუხლი 9. – (ამოღებულია)

მუხლი 10. – (ამოღებულია)

მუხლი 11. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე ჩარიხვის წესი და პირობები“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა. ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
3. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
4. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ

სიას ადგენს ტესტირების, დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

7. – (ამოღებულია)

8. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

10. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე ჩარიხვის წესი და პირობები“-ს მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“;

11. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

მუხლი 12. შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში **(დუალური პროგრამა)** აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

2. დუალურ პროგრამაზე შერჩევის ჩატარების თარიღს (თითოეული პროგრამის მიხედვით) აპლიკანტს/აპლიკანტებს აცნობებს კოლეჯი შერჩევის თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშოა დღით ადრე, ელექტრონული ფოსტით ანდა სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, აპლიკანტს ასევე ეცნობება შერჩევის ფორმის ჩატარების შესახებ.

3. შერჩევის ფორმა და ეტაპები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევის ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასაუბრება/ტესტირება. ტესტირების შემთხვევაში, დავალება ასევე მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. შერჩევას ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია;
5. შერჩევა ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში.
6. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი.
7. საკონკურსო კომისია კომპლექტდება, როგორც კოლეჯის წარმოამდგენლ(ებ)ის (ადმინისტრაციის წარმომადგენელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლის/ წარმომადგენლებისაგან;
8. საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ აპლიკანტს და შეფასების შედეგები შეაქვს შესაბამის ფორმაში. შეფასების ფორმა, შეფასების კრიტერიუმები და ქულების მთვლელის ფორმა წინასწარ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძნებით.
9. შეფასების მაქსიმალური ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება წინასწარ, შერჩევის ეტაპის დაწყებამდე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება ოქმით;
11. კოლეჯი მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
12. საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასება ხორციელდება აპლიკანტის/მისი კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი განცხადების საფუძველზე (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მტკიცებულება მაგ: ფორმა ასი და ა.შ.). კოლეჯის დირექტორის მიერ განცხადების განხილვის შემდგომ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების შესახებ. აღნიშნული ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს შეფასებანდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. განხადების დაკმაყოფილებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვებაში კი გადაწყვეტილების მიღებისთანავე პასუხი ეცნობება აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს.
13. აპელაციის წესი და ვადები:
ა) აპლიკანტს შერჩევის შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების გასაჩივრების მიზნით, წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
ბ) სააპელაციო კომისია იქმნება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით (კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი). სააპელაციო კომისია კომპლექტდება, როგორც კოლეჯის წარმოამდგენლ(ებ)ის (ადმინისტრაციის წარმომადგენელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლის/ წარმომადგენლებისაგან;
გ) სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული დღის ვადაში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. აპლიკანტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
14. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას .
15. დაწესებულება რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების

გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
16. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
17. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე ჩარიხვის წესი და პირობები“-ს მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“;
18. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
19. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 13. კოლეჯში ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. კოლეჯში აპლიკანტების ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. (ამოღებულია)
3. (ამოღებულია)
4. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
5. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
ა) ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
6. (ამოღებულია)
7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების

რაოდენობას, კოლეჯის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

8. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს.

8[1]. კოლეჯი უფლებამოსილია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რეიტინგული სიის გათვალიწინებით დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე (რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს) აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

9. დირექტორი მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ და აფორმებს მათთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებას;

10. აპლიკანტმა ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლიმა/კანონიერმა წარმოადგენლმა პროფესიულ სააგნმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

11. აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯში ჩასარიცხად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) აპლიკანტის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმოადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ პირობებს;

ბ) აპლიკანტის არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმოადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ცალი ფოტოსურათი 3*4 -ზე;

დ) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნორიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე (პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და რეგისტრაციისას მითითებული განათლების შესაბამისად);

ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არ ქონის შემთხვევაში);

ვ) კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. მინდობილობა, დაბადების მოწმობის ასლი);

ზ) უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

თ) 17 წელს მიღწეული პირის შემთხვევაში, წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება).

11[1]. პირი ვალდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში კოლეჯში საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა.

12. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.

13. კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, აპლიკანტი/მშობელი/კანონიერი წარმოადგენელი ობიექტური მიზეზების გამო (ფორსმაჟორული სიტუაცია) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენას.

14. ამ მუხლის მე-11 პუნქტის გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული სახით კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: telavi.prestige@gmail.com

15. კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტების რიგითობის გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნებისა და ამ მუხლის გათვალისწინებით.

16. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, აპლიკანტი კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას და მის ადგილს დაიკავებს რეიტინგულ სიაში რიგით შემდეგი აპლიკანტი.

17. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას;

18. კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას სსიპ- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

19. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

20. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

21. თუ ამ მუხლის მე-20 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს.

22. პირი, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სადაც ჩარიცხულთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია უფლებამოსილია:

ა) შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი მომდევნო მიღებამდე და მომდევნო მიღებაზე, აღიდგინოს

სტატუსი ამავე პროგრამაზე იმ რაოდენობის სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელიც საჭიროა რათა მიმდინარე და წინა წელს ერთად ჩარიცხულთა რაოდენობამ შეადგინოს 5 ან მეტი სტუდენტი.

ბ) ისარგებლოს გარე მობილობით იმ ალტერნატიულ დაწესებულებაში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ახორციელებს შესაბამის პროგრამას და ამ პროგრამაზე აქვს ვაკანტური ადგილ(ებ)ი.

მუხლი 14. – (ამოღებულია)

მუხლი 15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:

   ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

   ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

   გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

   დ) თავშესაფრის მაძიებელს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის/დამატებითი დაცვის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

   2[1]. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

4. დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. საკონკურსო კომისია

1. აპლიკანტების შერჩევა ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ.

2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, აპლიკანტების შერჩევის ჩატარების თარიღი, ჩატარების ადგილი და შედეგების დამტკიცების დრო განსაზღვრება კოლეჯის დირექტორის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან: თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელ(ებ)ი;

ბ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდგენელ(ებ)ი;

გ) პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი;

დ) საჭიროების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდეს სხვა მოწვეული პირი (მაგალითად შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებელი), რომელიც განახორციელებს აპლიკანტის შეფასებას შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებისა, შეფასების ჯამური ქულის გამოყვანას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირები პასუხისმგებელნი არიან აპლიკანტის ნაშრომის კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკეძოებლად შეფასებაზე.

5. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში აპლიკანტს არ მიეცემა საბოლოო შეფასების ქულა.

6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრების 2/3.

7. საკონკურსო კომისიის წევრების მიერ ხდება აპლიკანტთა შეფასება წინასწარ განსაზღვრული ფორმებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.

8. ზეპირი მოტივაციური გასაუბრების შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრების მიერ შედეგების შეტანა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში ხორციელდება გასაუბრების მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ.

9. პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზით და შემოქმედებითი ტურით შერჩევის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრების მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგების მიხედვით დგება შიდა რანჟირების დოკუმენტი. აპლინატის მიერ მიღებული (შერჩევისა და ტესტირების) ქულები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში არსებულ აპლიკანტის პირად გვერდზე, რომელიც რეგისტრაციის პროცესში იქმნება, ასევე აპლიკანტს შეუძლია პერსონალურად მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია კოლეჯში.

10. საკონკურსო კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

11. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს დამსწრე ყველა პირი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

12. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

13. (ამოღებულია)

მუხლი 17. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ აპლიკანტთა შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის და კოლეჯის უფლება - მოვალეობები

1. შერჩევის ჩატარების მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში შერჩევის რეგისტრაციაზე და თან იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის მოწმობა.

2. აპლიკანტმა შერჩევაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან ამობეჭდილ საგამოცდო ბარათს.

3. შერჩევის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი შერჩევაზე არ დაიშვება.

4. შერჩევაზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება 30 და მეტი წუთით აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შერჩევის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება გამოწვეულია საპატიო მიზეზით თუ არა.

5. შერჩევის დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები (მაგ. სუნთქვის აეროზოლი, მედიკამენტები და სხვა) საკონკურსო კომისიის თანხმობით.

6. შერჩევის დროს აპლიკანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვათა გამოყენება, გარდა კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

დ) შერჩევის ადგილის უნებართვოდ დატოვება.

ე) შერჩევის ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით, თანმხლებ პირთან ერთად.

7. შერჩევის დროს მე-16 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით ათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დატოვებს შერჩევის ადგილს და არ მიეცემა საბოლოო შეფასების ქულა.

მუხლი 18. შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. საპრეტენზიო კომისია უზრუნველყოფს აპლიკანტების შერჩევის პროცესში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის/განაცხადების განხილვას.

2. აპლიკანტთა შერჩევის შედეგების გასაჩივრება აპლიკანტის ან მშობელის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ შესაძლებელია სარეგისტრაციო სისტემაში აპლიკანტის გვერდზე შედეგების ასახვიდან არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

3. საპრეტენზიო კომისიაზე განხილვის მიზნით აპლიკანტმა ან მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წინამდებარე წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში და მიუთითოს პრეტენზიის არგუმენტირებული მიზეზი, რაც საპრეტენზიო კომისიას დაეხმარება პრეტენზიის განხილვისას.

4. აპლიკანტთა შერჩევის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია უნდა ეხებოდეს კოლეჯში შერჩევის შედეგად მიღებული ქულის გასაჩივრებას.

5. საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება თუ მიიჩნევს, რომ აპლიკანტის შეფასება დაირღვა ობიექტურობა.

6. წარდგენილი განცხადება საპრეტენზიო კომისიის მიერ განხილული უნდა იქნას წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ პირს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

8. საპრეტენზიო კომისის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - აპლიკანტის შეფასების საბოლოო ქულა ეცნობება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

9. აპლიკანტების შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საპრეტენზიო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.

10. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე ირჩევს მდივანს, რომელიც აოქმებს კომისიის

სხდომას.

11. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრების 2/3.

12. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

13. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

14. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოლეჯში განხილვას აღარ ექვემდებარება.

მუხლი 19. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა შერჩევა და ჩარიცხვა

1. ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში. აღნიშნულის თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. სსსმ პირების პროგრამებზე ჩარიცხვა, გარდა დუალურ პროგრამაზე ჩარიცხვისა, ხორციელდება **ალტერნატიული ტესტირების** საშუალებით, რაც გულისხმობს აპლიკანტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პირობებში, მის მიერ დარეგისტრირებული პროფესიული პროგრამების **პრაქტიკულ მოსინჯვას**.

3. დუალურ პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

4. ალტერნატიული ტესტირებისას აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა პრაქტიკულად მოსინჯოს მის მიერ შერჩეულ და დარეგისტრირებულ პროგრამასთან დაკავშირებული რამდენიმე ტიპური აქტივობა და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის შედეგად, გააკეთოს მისთვის საუკეთესო პროფესიული არჩევანი.

4[1]. პირს, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

4[2]. დაწესებულება განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს;

6. ა(ამოღებულია)

7. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის გათვალიწინების მიუხედავად, პროგრამაზე დარეგისტრირებული სსსმ პირთა რაოდენობა აღემატება პროგრამაზე სსსმ პირთათვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას, მხედველობაში მიითება აპლიკანტის რეგისტრაციის დრო (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი).

მუხლი 20. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილებების/დამატებები შეტანა ან მისი გაუქმება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.